



სან პეტროლიუმ ჯორჯია Sun Petroleum Georgia

გაღწეული ინტერნეტის ოფიციალური დისტრიბუტორი
საქართველოში

Official Distributor of Gulf Oil International in Georgia

ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციის

ტექნიკური დავალება

ავტოგასამართი სადგური : ყვარელი (GULF WITH REGULAR STORE)

1. აზომვითი ნახაზის მომზადება.
2. ესკიზური პროექტის შემუშავება ტექნიკური დავალების მიხედვით.
3. მუშა პროექტის და ხარჯთაღრიცხვის მომზადება .
4. სატენდერო პროცედურების გავლა .
5. სამშენებლო სამუშაოების დაწყება - 2024 წლის სექტემბერში .
6. სადგურს ექსპლუატაციაში გაშვება 2024 წლის დეკემბერში.

სარეკონსტრუქციო სამშენებლო და ტექნოლოგიური სამუშაოები .

ფოტოფიქსაცია

1. სამშენებლო ტერიტორიაზე დროებითი შემოღობვის მოწყობა.
2. საწვავმზიდის დგომის ადგილას ასფალტის ფენის მოხსნა .
3. საწვავმზიდის დგომის ადგილას ბეტონის ფილის მოწყობა და გასწორება , რათა საწვავმზიდი გაჩერდეს სწორად .
4. შენობის უკან არსებული წყლის რეზერვუარის დემონტაჟი .
5. სარეზერვუარო პარკის მარჯვენა უკიდურეს კუთხეში წყლის რეზერვუარისთვის არმირებული ფილის მოწყობა და წყლის რეზერვუარის მონტაჟი .
6. შენობის უკან გამოთავისუფლებულ ფართში საწვავის რეზერვუარამდე არმირებული ბეტონის ფილის მოწყობა ისე რომ იატაკის დონე გაუთანაბრდეს საპროექტო მაღაზიის დარბაზის დონეს, დაახლოებით 2 მეტრი არსებული კედლიდან.
7. შენობის უკან რკინის კონსტრუქციით და სენდვიჩ პანელებით სასაწყობე შენობის მიშენება.

8. არსებული საპირფარეშოს მყარი გადახურვის დემონტაჟი, საპირფარეშოს ქერის აწევა და სეისმური სარტყლით დაკავშირება არსებულ სამაღაზიე შენობასთან ,
9. გარე საპირფარეშოს კარის ამოშენება.
10. საპირფარეშოების გაერთიანება , ტამბურის და საპირფარეშო ოთახის მოწყობა.
11. მაღაზიის მაცივრის გადატანა მაღაზიის შესასვლელის მარცხენა მხარეს .
12. საპირფარეშოს არსებული კარი მაქსიმალურად ჩაიწევს შენობის მარჯვენა მხარეს .
13. კარის ჩაწევის შემდგომ საღაროს ზონა გაიზრდება დაახლოებით 1,5-2 მეტრით.
14. შენობის უკან მიშენებულ კონსტრუქციას სარეზერვუარო პარკის მხრიდან გაუკეთდეს რკინის კარი 1,2-1,3 მეტრის სიგანის .
15. ახლად მიშენებული ფართი და არსებული შენობის გადახურვა მოექცეს ერთიანი გადახურვის ქვეშ .
16. მაღაზიაში არსებული იატაკის დემონტაჟი .
17. არსებული საპირფარეშოების დემონტაჟი .
18. სამაღაზიე შენობის იატაკი აიწიოს პლატფორმასთან მიმართებაში 4-5 სმ.-ით .
19. სამენეჯეროს ოთახის, საპირფარეშოების და სასაწყობე ფართების იატაკები გათანაბრდეს მაღაზიის იატაკის დონესთან.
20. კედლებსა და იატაკზე შეინიშნება სინესტე , საჭიროა მოეწყოს იატაკის და კედლების შიდა და გარე ჰიდროიზოლაცია .
21. სასურველია შენობის სახურავის სიმაღლე გაიზარდოს 0,3-0,4 მეტრით.
22. თუ შენობას არ გააჩნია სეისმური სარტყელი სასურველია მოხდეს სეისმური სარტყლით შენობის შეკვრა .
23. გარე საპირფარეშოს მიმდებარედ არსებული კიბის დემონტაჟი .
24. შენობის გარშემო 8-10 სმ-ის სისქის და 1 მეტრის სიგანის არმირებული მოპირალეებული ბეტონის სარინელის მოწყობა.
25. მაღაზიის შესასვლელ კართან მოხვეწილი ბეტონის პანდუსის მოწყობა .
26. შენობაში მოჭიმული იატაკის მოწყობა .
27. შენობაში ქერის თბოიზოლაციის მოწყობა .
28. შენობაში კედლების გასუფთავება ნალესისაგან .
29. კედლების გალესვა და ჰიდროიზოლირება 1,5 მეტრის სიმაღლეზე .
30. ფასადის 3 კედლის თბოიზოლაციის მოწყობა ქვაბამბით .
31. ფასადის 3 კედელზე ალუკაბონდის თეთრი პანელების მოწყობა .
32. ახალი გადახურვის მოწყობა შენობასა და მიშენებულ ფართებზე ისე რომ გადახურვა გადმოცდეს კედელს 40 სმ-ით .
33. პლატფორმის გადახურვის წყალარინების სისტემის გადმოყვანა შენობაზე 100-იანი მილებით .
34. შენობის წყალარინების მილები ჩავიდეს მიწაში ჩადებულ 300-იან გოფრირებულ მილში და სარეზერვუარო პარკის გავლით გადავიდეს გზაზე . (მარჯვნივ) .
35. სრული ელექტრო მეურნეობის შეცვლა .
36. გათბობა-გაგრილების სისტემების მონტაჟი.
37. სამზარეულოს ზონის გამწოვის მონტაჟი .
38. მაღაზიის სრული კოსმეტიკური რემონტი .
39. სამენეჯეროს სრული რემონტი .
40. საწყობის სრული რემონტი .
41. ვიტრაჟების და კარების შეცვლა შავი ფერის იზოალუმინით .

42. პლატფორმაზე დასაგრძელებელია სანიაღვრე „ბეკოს“ მაღაზიის მხარეს , წყალი შემოდის სარეზერვუარო პარკში .
43. შესადებია საწვავმარიგებელი სვეტების კუნძული .
44. შესაცვლელია საწვავმარიგებელი კუნძულის ფილები .
45. შესაცვლელია საწვავმარიგებელი სვეტები 4*8 კონფიგურაციის ორი ერთეული სვეტით .
46. პლატფორმის გარშემო მოსაწყობია ნავთობდამჭერი კონტური და ნავთობდამჭერი.
47. ნავთობდამჭერში შეკრებილი ყალი მიუერთდეს სანიაღვრე სისტემას.
48. საწვავის რეზერვუარებზე დაღვრის საწინააღმდეგო ქების მოწყობა.
49. საჰაერო მილსადენების მოწყობა.
50. მიმღები მილსადენების მოწყობა.
51. სადგურზე დამონტაჟდეს დროშის ტიპის ფასმაჩვენებელი ორმხრივი სტელა .
52. სადგური დაიბრუნდოს „გალფის“ ახალი საფირმო სტილით .

ფოტოფისაცია































